



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP



საუკეთესო წლიური
ანგარიშის და
გამჭვირვალობის ჯილდო

BARTA 2021

ქულების ანალიზი და
რჩევები მათ
ბასაუმჯობესებლად



BARTA 2021: ქულების ანალიზი და რჩევები მათ გასაუმჯობესებლად

ეს სტატია აანალიზებს [BARTA 2021-ის შედეგებს](#) და იძლევა რჩევებს კომპანიებისთვის თუ როგორ გააუმჯობესონ საკუთარი ანგარიშების ხარისხი და შედეგად BARTA -ს ქულა. კომპანიების შეფასება მოხდა ქულების ბარათის მეშვეობით, რომელიც ანგარიშების ასპექტების სხვადასხვა ტიპებს შესაბამის წონას ანიჭებს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1: ქულების განაწილება



2021 წლის შედეგების მიმოხილვა

კომპანიები	კატეგორიები	კატეგორიების რანგები	A	B	C	D	სულ	2020	2019
სს საქართველოს ბანკი	მსხვილი საფინანსო კომპანიები (გამარჯვებული)	1	32.0	17.0	18.0	20.0	87.0	79.3	78.4
სს თიბისი ბანკი	მსხვილი საფინანსო კომპანიები (საუკეთესო მდგრადობის ანგარიში)	2	34.4	13.5	19.0	20.0	86.9	80.4	81.1
სს კრისტალი	მსხვილი საფინანსო კომპანიები (საპატიო ჯილდო)	3	27.0	14.0	14.0	19.0	74.0	68.1	67.5
სს თიბისი ლიზინგი	მცირე და საშუალო კომპანიები (გამარჯვებული)	1	26.4	10.8	10.0	18.5	65.7	39.3	-
სს თელასი	მსხვილი არასაფინანსო კომპანიები (გამარჯვებული)	1	23.8	12.8	11.0	16.0	63.6	51.9	66.2
სს სილქნეტი	მსხვილი არასაფინანსო კომპანიები (საპატიო ჯილდო)	2	26.3	13.0	11.0	12.0	62.3	31.6	44.1
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	მსხვილი საფინანსო კომპანიები	4	18.5	09.0	15.0	19.0	61.5	-	65.8
სს ლიბერთი ბანკი	მსხვილი საფინანსო კომპანიები	4	18.8	12.7	11.0	19.0	61.5	48.1	57.7
სს საქართველოს რკინიგზა	მსხვილი არასაფინანსო კომპანიები	3	21.4	06.5	13.0	17.0	57.9	-	-
მიკრო ბიზნეს კაპიტალი	მცირე და საშუალო კომპანიები (საპატიო ჯილდო)	2	20.3	10.3	08.0	16.5	55.1	33.5	-
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია	მცირე და საშუალო კომპანიები	3	17.0	09.3	06.0	15.5	47.8	40.2	59.5
შპს თეგეტა მოტორსი	მსხვილი არასაფინანსო კომპანიები	4	15.8	06.0	08.0	17.0	46.8	33.5	47.8
სს ევექსის ჰოსპიტლები	მსხვილი არასაფინანსო კომპანიები	5	08.5	07.7	07.0	15.5	38.7	29.0	-
სს ლისი ლეიქ დეველოპმენტი	მცირე და საშუალო კომპანიები	4	11.1	09.0	08.0	10.5	38.6	-	55.2
სს ქართული ლუდის კომპანია	მცირე და საშუალო კომპანიები	5	11.2	08.0	06.0	11.5	26.7	33.3	44.5
სს მეტრო ეიფორია პოტელ ბათუმი	მცირე და საშუალო კომპანიები	6	11.0	07.7	04.0	10.0	32.7	20.0	-
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	მცირე და საშუალო კომპანიები	7	10.8	05.3	05.0	11.0	32.1	26.5	-
შპს საქართველოს ქონების მართვის ჯგუფი	მცირე და საშუალო კომპანიები	8	10.3	05.3	05.0	05.0	25.6	26.1	-

მე -2 ცხრილის ქულებიდან ჩანს, რომ როგორც მთლიანობაში, ისე ანგარიშგების ცალკეული ნაწილების მიხედვით, 2021 წელს ქულები გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სს „თიბისი“ ლიზინგმა და სს „სილქნეტმა“ 2020 წლის განმავლობაში საგრძნობი წინსვლა აჩვენეს. მფო სს „კრისტალი“ სრულყოფას განაგრძობს. მიუხედავად იმისა, რომ მის [2020 წლის წლიურ ანგარიშს](#) აკლია უმსხვილესი ბანკების მიერ გამჟღავნებული ინფორმაციისთვის დამახასიათებელი სიღრმე, აღნიშნული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ანგარიშგება ინოვაციური, ლაკონური და მკითხველზე ორიენტირებულია. სს „თიბისი ლიზინგი“ უმაღლესი ქულები ანგარიშგების ყველა კომპონენტის მიხედვით, როგორცაა მმართველობის ანგარიშგება, კორპორაციული მართვის ანგარიშგება, არაფინანსური ანგარიშგება და სხვა გამჭვირვალობის ღონისძიებები.

ზოგადი რჩევები თუ რა დაგეხმარებათ ქულის გაუმჯობესებაში:

- წლიური ანგარიშის მომზადება ქართულ ენაზე და შემდეგ ინგლისურად თარგმნა
- „შაბლონური“ განმარტებების და სხვა წყაროებიდან ტექსტის „კოპირების და ჩასმის“ თავიდან არიდება
- ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების გაერთიანება ერთ დოკუმენტად, რომელსაც „წლიური ანგარიში“ ეწოდება
- გრაფიკების, ცხრილების, სქემების და სურათების ჩართვა, ასევე შეძლებისდაგვარად ციფრული დიზაინერის მოწვევა ანგარიშგების ვიზუალური მხარის და წაკითხვადობის გასაუმჯობესებლად
- ლაკონურობა, განმეორებების თავიდან აცილება და საჭიროების შემთხვევაში წლიური ანგარიშგების დაკავშირებულ პუნქტებზე ურთიერთმიმართულების ჩასმა; კომპანიების უმეტესობისთვის წლიური ანგარიშის მოცულობა დაახლოებით 50-75 გვერდი უნდა იყოს.
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითისთვის იხ: [მფო სს „კრისტალის“ 2020 წლის წლიური ანგარიშგება](#)

ნაწილი A: მმართველობის ანგარიშგება

სს „თიბისი ბანკმა“ უმაღლესი ქულა მიიღო ამ ტიპის ანგარიშგებისთვის. სს „სილქნეტმა“ და სს „თიბისი ლიზინგმა“ უმაღლესი ქულა დაიმსახურეს შესაბამისად მსხვილი არაფინანსური და მცირე კომპანიის ნომინაციაში. წლის უმაღლესი ქულის მქონე კომპანიების მმართველობის ანგარიშგება გამოირჩეოდა გრაფიკული გამოსახულებების გამოყენებით და კომპანიების საქმიანობის და მიღწევების შესახებ კარგად შედგენილი აღწერილობითი ნაწილით. ეს ანგარიშები ფოკუსირებულია მკითხველისთვის დეტალური ინფორმაციის გაზიარებაზე სტრატეგიის და ძირითადი სამომავლო პროექტების შესახებ.

რჩევები მმართველობის ანგარიშგების ქულის გასაუმჯობესებლად:

- იხ. ვიდეო [‘როგორ გავაუმჯობესოთ მმართველობის ანგარიშგება’](#).
- გაამჟღავნეთ ინფორმაცია ქვევით ჩამოთვლილის შესახებ:
 - არსებული ბიზნეს-მიმართულებები და სამომავლო სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია სამიზნე მაჩვენებლებზე და მათი მიღწევის გზებზე
 - კომპანიის წინაშე არსებული მისთვის დამახასიათებელი არაფინანსური რისკები და მათი ფინანსური ზემოქმედება აღნიშნული რისკების შესარბილებელ ღონისძიებებთან ერთად
 - მიღწევები და არა ღონისძიებები
 - ბაზრის/სექტორის ანალიზი და მარეგულირებელი გარემოს მოკლე შეფასება და შესაძლო ცვლილებები
 - სეგმენტის ანალიზი საჭიროების შემთხვევაში
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითისთვის იხ: [სს „თიბისი ლიზინგის“ 2020 წლის წლიური ანგარიშგება](#) გვ. 4-60.

ნაწილი B: კორპორაციული მართვა

ამ ტიპის ანგარიშგებისთვის უმაღლესი ქულა დაიმსახურა სს საქართველოს ბანკმა. სს „სილქნეტმა“ და სს „თიბისი ლიზინგმა“ ასევე უმაღლესი ქულები მიიღეს არაფინანსური და მცირე კომპანიების ნომინაციაში. კორპორაციული მართვის ანგარიშგება საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულ კომპანიებს მოეთხოვებათ. თუმცა, კონკურსში ნებაყოფლობით მონაწილე სდპ-ებისგან ასევე მოველით კორპორაციული მართვის ანგარიშგების წლიურ ანგარიშგებაში ჩართვას. კორპორაციული მართვის ანგარიშგება უნდა იყოს წლიური ანგარიშგების ნაწილი, მაგრამ წარდგენილ იქნეს ცალკე თავად. მისი სტრუქტურა კომპანიის შეხედულებისამებრ განისაზღვრება.

რჩევები კორპორაციული მართვის ანგარიშგების ქულის გასაუმჯობესებლად:

- იხ. ვიდეო [‘როგორ გავაუმჯობესოთ კორპორაციული მართვის ანგარიშგება’](#).
- გაამჟღავნეთ ინფორმაცია ქვევით ჩამოთვლილის შესახებ:
 - გამოყენებული კორპორაციული მართვის კოდექსი და მისგან ნებისმიერი გადახვევა და მისი მიზეზი - ასევე ნებაყოფლობითი შესრულება, კოდექსის მოთხოვნებს რაც აღემატება
 - ფინანსური ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის და რისკის მართვის სისტემები ამ პროცესში ჩართული ორგანოების როლების და პასუხისმგებლობების ჩათვლით
 - აქციონერთა საერთო კრების ფუნქციონირება, აქციონერთა უფლებები და ამ უფლებების რეალიზაციის გზები
 - აღმასრულებელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციონირება - ჩამოთვალეთ წევრები, მათი ბიოგრაფიული მონაცემები, პასუხისმგებლობები და სხდომებზე დასწრება; საბჭოს თავმჯდომარე და მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადა; საბჭოს ფუნქციები, საბჭოს საქმიანობის შეფასება და სხდომებზე დასწრება.
 - აღმასრულებელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს დივერსიფიკაციის პოლიტიკა და მისი განხორციელება - საბჭოში მრავალფეროვნების ხელშეწყობა ასაკობრივი, გენდერული, განათლების, წარმომავლობის და გამოცდილების მიმართულებით.
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითისთვის იხ: [სს საქართველოს ბანკის 2020 წლის წლიური ანგარიში](#) გვ.152-214 და [სს სილქნეტის 2020 წლიური ანგარიში](#) გვ. 91-107.

ნაწილი C: არაფინანსური ანგარიშგება

სს „თიბისი ბანკმა“ უმაღლესი ქულა დაიმსახურა ამ ტიპის ანგარიშგებისთვის. სს „საქართველოს რკინიგზამ“ და „თიბისი“ ლიზინგმა უმაღლესი ქულები მიიღეს შესაბამისად როგორც არაფინანსური და მცირე კომპანიებმა. უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში ამ ტიპის ანგარიშგების სახელწოდება ევროკავშირში იქნება „ანგარიშგება მდგრადი განვითარების შესახებ“ (იხ. თავი ქვევით).

რჩევები არაფინანსური ანგარიშგების ქულის გასაუმჯობესებლად :

- გაამჟღავნეთ ინფორმაცია ქვევით ჩამოთვლილის შესახებ:
 - საწარმოების საქმიანობის განვითარების ეფექტურობა, მიღწეული შედეგები და კომპანიის პოზიცია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა გარემოს დაცვა, სოციალური და მმართველობის მიმართულებები (ESG), დასაქმება, ადამიანის უფლებების დაცვა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ. მათ შორის:
 - კომპანიის ბიზნესმოდელის მოკლე აღწერა
 - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის აღწერა, მათ შორის, კომპლექსური შემოწმების დანერგული პროცესები და ამ პოლიტიკის შედეგები
 - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოთა საქმიანობასთან, მათ შორის, მის ბიზნესსტრატეგიასთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვევს უარყოფით ზემოქმედებას ამ სფეროებში და თუ როგორ მართავს საწარმო აღნიშნულ რისკებს.
 - საქმიანობის ძირითადი არაფინანსური ინდიკატორები.

- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები იხ. [სს „თიბისი ბანკის“ 2020 წლის წლიური ანგარიში](#) გვ. 58-83 და [სს „თიბისი ლიზინგის“ 2020 წლის წლიური ანგარიში](#) გვ 30-41.

ნაწილი D: გამჭვირვალობის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები

სს „საქართველოს ბანკმა“ და სს „თიბისი ბანკმა“ უმაღლესი ქულები მიიღეს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების მიმართულებით. ეს განპირობებული იყო წლიური ანგარიშის დროული წარდგენით, წლიური ანგარიშგების თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებით და კარგად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებებით. სს „საქართველოს რკინიგზამ“ და სს „თეგეტა მოტორმა“ დაიმსახურეს უმაღლესი ქულები არაფინანსური მსხვილი კომპანიის ნომინაციაში სხვა გამჭვირვალე ღონისძიებების კუთხით.

რჩევები თუ რა დაგეხმარებათ გამჭვირვალობის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების გამჟღავნების გასაუმჯობესებლად:

- წლიური ანგარიშის და დაკავშირებული დოკუმენტების დროული წარდგენა და ატვირთვა ვებგვერდზე: www.reportal.ge.
- წლიური ანგარიშის ატვირთვა კომპანიის ვებგვერდზე
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითისთვის იხ. მფო სს „კრისტალის“ გვერდი [ინვესტორებთან ურთიერთობები](#).

მდგრადი განვითარება

სს თიბისი ბანკი იყო ამ ჯილდოს პირველი გამარჯვებული [2020 წლისთვის მომზადებული მდგრადი განვითარების ანგარიშგების გამო](#).

მდგრადი განვითარების ანგარიშგების გამოყენება ფეხს ახლა იკიდებს საქართველოში. მნიშვნელოვან განსხვავებებს აქვს ადგილი ამ ანგარიშგების მომზადების თვალსაზრისით როგორც კომპანიებს, ისე დარგებს შორის. არაა გასაკვირი, რომ საფინანსო სექტორის კომპანიები და ეკოლოგიურად მგრძნობიარე დარგები, როგორებიცაა მშენებლობა და უძრავი ქონების ბიზნესი, ყველაზე მეტად ინფორმაციის გამჟღავნებას მდგრადი განვითარების საკითხებზე ახდენენ. BARTA 2019 წელს დაარსდა და მას შემდეგ მცირედ გაუმჯობესდა მდგრადი განვითარების ანგარიშგების ხარისხი. თუმცა, ანგარიშგების უდიდესი ნაწილი სტანდარტულია წლიდან წლამდე. კომპანიები, რომლებიც თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებებს ინგლისურ და ქართულ ენებზე აქვეყნებენ, მდგრადი განვითარების ანგარიშგების უკეთესი ხარისხით გამოირჩევიან. რამდენიმე შემთხვევაში მდგრადი განვითარების გადამოწმება აუდიტორის მიერ ხდება, თუმცა მათი მხრიდან რწმუნება უფრო სიმბოლურია, ვიდრე არსებითი.

მდგრადი განვითარების ანგარიშგების სამ კომპონენტს შორის (გარემოსდაცვითი, სოციალური მიმართულებები და კორპორაციული მართვა) ანგარიშგება გარემოსდაცვით საკითხებზე ყველაზე ნაკლებად პოპულარულია, მას მოსდევს ანგარიშგება მართვის და სოციალური საკითხების შესახებ. უცხოეთის ბირჟებზე დალისტული კომპანიები სავარაუდოდ საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან მაღალი ზეწოლის და საერთაშორისო პრაქტიკის ცოდნის გამო მეტ ინფორმაციას ამჟღავნებენ ვიდრე ისინი, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ ლისტიგში არიან წარმოდგენილნი.

ბევრი ქართული კომპანიის მხრიდან იმის აღნიშვნის მიუხედავად, რომ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების დარღვევას და მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას, ისინი ტიპურად უფრო პოლიტიკის დეკლარირებას ახდენენ ადამიანის უფლებების და მრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ არ იძლევიან მტკიცებულებებს აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების შესახებ (როგორიცაა მაგალითად ძირითადი ინდიკატორი (KPI) საბჭოში იდენტიფიცირებული ადამიანის უფლებების რისკის პრევენციის ან შერბილების ან საბჭოში გენდერული ბალანსის შესახებ). მართვის საკითხებთან დაკავშირებით უკეთესადაა გამჟღავნებული ინფორმაცია კორუფციის და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის, მომხმარებლებთან ურთიერთობების და შიდა კონტროლის მექანიზმების შესახებ, მაგრამ ამასთან მწირი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი პოლიტიკური გარიგებების და ლობირების ღონისძიებების თაობაზე. მდგრადი განვითარების საკითხი, როგორიცაა მაგალითად კლიმატის ცვლილება, იშვიათად განიხილება საზედამხედველო ორგანოების რისკის შერბილების კომიტეტების მიერ.

BARTA -ს ჟიურიმ ასევე შეაფასა ინფორმაციის გამჟღავნება გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად, როგორებიცაა: ლაკონურობა, სანდოობა და სისრულე, თანმიმდევრულობა და შესადარისობა. ზოგიერთ კომპანიას მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაცია თავის წლიურ ანგარიშგებაში შეაქვს, სხვებს ცალკე ანგარიშგების სახით აქვთ ის მომზადებული. აღნიშნულ ანგარიშგებაზე რწმუნების გამოხატვა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ზოგიერთმა

კომპანიამ გააერთიანა ქართული და ინგლისური ვერსიები, ზოგის ანგარიშგება დასკანერებულია და ზოგის კი გადაყვანილია pdf ფორმატში. პრაქტიკის ეს მრავალფეროვნება და არალაკონურობა ართულებს მკითხველისთვის ინფორმაციის აღქმას და შეფასებას.

2022 წლის მეორე ნახევარში ევროკავშირი სავარაუდოდ მიიღებს [კორპორაციული მდგრადი განვითარების ანგარიშგების დირექტივას](#). ეს სავალდებულოს გახდის მდგრადი განვითარების ყოვლისმომცველი ანგარიშგებების გამოქვეყნებას 2023 წლიდან, რომლებიც მომზადებული იქნება მდგრადი განვითარების შესახებ ანგარიშგების ახალი ევროპული სტანდარტების (ESRS) შესაბამისად და დაექვემდებარება რწმუნებას. ქართული კომპანიები აღმოჩნდებიან მიწოდების ჯაჭვის, ისევე როგორც ევროკავშირის ინვესტორების, გავლენის ქვეშ კარგი პრაქტიკის დანერგვის თვალსაზრისით. BARTA 2022 კონკურსმა შესაძლებელია მოახდინოს შესაბამისი ადაპტირება ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინების მიზნით.

რჩევები მდგრადი განვითარების ანგარიშგების ქულის გასაუმჯობესებლად:

- იხ. ვიდეო '[კორპორაციული ანგარიშგების მომავალი ევროპაში: როგორი იქნება მომდევნო ნაბიჯების შედეგები ქართული კომპანიებისთვის?](#)'.
- მხარი დაუჭირეთ პოლიტიკას ღონისძიებების და მიღწევების განმარტების გზით, ძირითადი სამიზნე მაჩვენებლების გამოყენებით.
- ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს შემდეგი ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით.
 - ლაკონურობა - მდგრადი განვითარების ანგარიშგება ლაკონური უნდა იყოს;
 - სანდოობა და სისრულე - მდგრადი განვითარების ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ყველა არსებით საკითხს, როგორც დადებითს ისე უარყოფითს, დაბალანსებული ფორმით და არსებითი შეცდომის გარეშე,
 - თანმიმდევრულობა და შესადარისობა - ინფორმაცია მდგრადი განვითარების ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს (ა) დროთა განმავლობაში თანმიმდევრულ საფუძველზე და (ბ) ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდის შედარებას სხვა ორგანიზაციებთან.
 - საფუძველი - მდგრადი განვითარების ანგარიშგება უნდა მომზადდეს საერთაშორისოდ აღიარებული ჩარჩოების და სტანდარტების შესაბამისად.
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებისთვის იხ. სს „თიბისი ბანკის“ [2020 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშგება](#) და [სს „ვექსის ჰოსპიტლების“ პოლიტიკის აღწერა](#).

